

ნაპაღ ული

ს ა მ მ ა ნ ვ ი ლ ს მ ა რ ა ნ ი

ფ ა მ ი ლ ი ა მ ი მ ი ს ჯ ი



მცირე წლოვანთათვის

№ X

მ ა ი ს ი

1906



ტფილისი

ელექტრობეჭდავი ან. „სრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65

1906



შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. მოლალურის ტირილი.—ლექსი, ი. კვდოშვილისა	3
2. მიხო და მწვანე კალია.—დასასრული, თ. რაზიკა- შვილისა	8
3. მამაცი მარო.—თარგმანი, ნ. თ.-სა	16
4. მაიმუნები.—გაგრძელება, ირაკლი სურგულაძისა	17
5. ორესტის ამბავი.—გაგრძელება, ვ. ღორთქიფანიძისა	21
6. გასართობი.—	23

ამ წლის პირველ იანვრიდგან „ნაკადული“ გამოდის ახალის რედაქციით.

რ ე ღ ა ჭ ც ი ი ს ა ზ ა ნ :

უმორჩილესადა ვსთხოვეთ გარეშე თანამშრომლებს, დაწვრილებით აღნიშნონ ხოლმე ნათარგმნსა და გადმოკეთებულს მასალაზედ, საიდგან არის აღებული; აღნიშნონ ხოლმე აგრეთვე ავტორი და წიგნი ან ჟურნალი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო. თუ ჟურნალიდან არის გადმოღებული, მაშინ—წელიწადი და № გამოკეებისა. ეთხოვეთ ამასთანავე თავიანთი ნამდვილი ადრესიც მიაწერონ ხოლმე, რომ საჭიროების დროს რედაქციას დაკითხვა შეეძლოს.

ხელის მოწერა შეიძლება:

რედაქციაში და „წერა-კითხ. გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარედ ჰქენს აგენტებთან **ბაქოში**: ანტა ყვანიასთან და ნ. დეკანოზი-შვილთან; **ქუთაისში**: „კოლხიდის“ საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიავასთან, და კნ. სოფიო ნაკაშიძესთან; **სუხუმში**: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: გრიგოლ ჭიქოძესთან; **თბილისში**: ქეთო ხარაფიშვილთან; **ზორში**: თამარ ღ ნინო ლომაურებთან ღ კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში**: კნ. ვლადიმერ სეიმონის ძე აბაშიძესთან; **პიათუ-რაში**: ირაკლი დეკანოზიშვილთან; **საჩხერაში**: ყარაიმან ჩხეიძესთან; **ერევანში**: მარიამ ფაველენიშვილთან.

„ნაკადულის“ შარშანდელი მთელის წლის ნომრები იყიდება **3** მანეთად



მოლალურის ტირილი.

ბაღში ვარდი გადიშალა,
 ვაჟს ფოთოლი დაეცრემლა,
 თავს უკრავებს წუნარს ნიახსა
 იქ ბალილა, აქ ეხმელა!
 ბუჩქში ბუდეს ზედ დაჭხარის
 შავი ქაშვი თეთრ-საღება,
 სტუნავს, ცელქობს ღობე-მძვრალა,
 ვკლებ შუა იძალება!
 ზაწაწა რუც არ ისვენებს,
 ატრიალებს მკვირცხლად ბორბალს,

წისქვილის ქვა ციბრუტსა სცემს,
 მქწისქვილე აურის სორბალს!
 ხეებს ვანახსეი მხოლოდ ერთი
 აგონდება, ესნიშძრება,
 ფიქრობს: ნეტა ჩიტის ბუდე
 რომელ სეზე, სად იქნება?
 დაჯის ბაღში, თვალებს ძაღლა
 აცნებებს და ატრიალებს,
 ხან უურს უგდებს ჩიტის ფთხრიალს,
 გული უცემს, უკანკალებს!

ახ, ნეტავი მძლე ერთი
 მანოვნინა ის ოხერი,
 ამბობს გულში, რომ ბარკეები
 ამოვეკრიფო უვითულ ფერი!
 როგორც იყო, თხილამურზე
 დაინახა მოლალური,
 იმის გვერდით ბუდე იყო
 ჩასლართული, ჩაწმასნული!
 მღერის ჩვენი უვითულ-გულა,
 ემსისაცან თვალებს სუჭავს,
 უხარინ, რომ ბარკეები
 რბილს ბუდეში ჩაუკუჭავს!
 რა ჭქნას, დედის ამაგი აქვს,
 უუვარს თვისი გვერტუნები,
 ცინძარე დღე არ ისვენებს,
 რომ უძოვოს მათ საკვები!
 ღამე ფრთებით ეფარება,
 რომ არ მოხვდეთ წვიმა, ქარი;
 ელოდება იმათ დასრდას,
 რომ უჩვენოს მთა და ბარი!
 დააფრინოს, წინ გაუძღვეს,
 შესწავლოს ავი, კარგი;
 მათ გააცნოს მტერ-მოვევარე
 ჭია-ღუა, კუჭ-მესარგი!
 ისა მღერის, მაგრამ ვანო
 მოხვევია უკვე სესა,
 მიდის სვეით გაოფლილი,
 არ ასვენებს სელ-ფესებსა!
 აჭა, კიდევ მიანწია,
 შეუთხრილდა მოლალური,



სულ ასლოა, ერთი შტო-ღა
 დარსა მის შტერს გასაცური!
 ის მეორე სესე შწრაფულად
 გადაფრინდა გულ-შეკერ იაღი,
 და იქიდან შწუსარებით
 შიასტერა ვანოს თვალი!
 „მღივს!—წარმოხსთქვა სისარულით
 ზაწაწინა ქურდ-ბაცაცამ,
 — შენ იფრინე, ვვითელ-ფერავ,
 მე-კი ბარტყებს გამოგტაცავ!“
 და ამ სიტყვით ააგლიჯა
 ჩაწმანული ბუდე სესა;
 დედა თავსე დასტრიალუებს
 თვის ზირმშოებს, თვის ბარტყებს!
 მაგრამ რა ქნას, სუსტი არის,
 რით ეომოს თავის შტერსა?
 ტყვილად შტოდამ შტო'სე სტება,
 ტყვილად იქნევს მადლით ფრთებსა!
 ბუდეში-კი მის ბარტყები
 ფუტფუტებენ, წრიზინებენ;
 ვანო ამას ეურს არ უკდებს,
 კვლავ შიცურავს ის ქვევითკენ!
 ჩავიდა, დავლა შირს დასდო,
 ამოკრიფა, სინჯავს ვეკლას,
 მადლა ისურის, ფიქრობს—ვითომ,
 რომ ასწავლას ასე ფრენას!
 ხან ზირს უღებს, ნისკარტს სინჯავს,
 ბალანს აჭმევს მადლი-მადლად,
 მასხარაობს, ერთს მეფედ სვამს
 და მეორეს დედოფალად!

,,იგალობეთ დედსავით,
 შემოსძახეთ მკურელიო,
 ნურაფრისა გემინიანო,
 ნუ გისკდებათ თქვენ გულიო!“
 * როცა ესეც მოეწეინა,
 კვლავ ბუდეში ჩასხა ვეკლა,
 ზედან ქუდი დააფარა,
 არ წავიდნენ ნელა-ნელა!
 თითონ იქვე წამოუწვა,
 რომ დაღლილმა დაისვენოს,
 მერე ისევ ინადიროს,
 ახლა სხვა ბუდე შოძებნოს!
 და ნადავლი შინ წაიღოს,
 შემურდებათ ამხანაგებს,
 რაც ბიჭია—თვის ტოლებში
 დაიკვებებს, დაიქადებს!
 ამ ფიქრებში ბაღასებზე
 მთლად დაქანცულის მიემინა,
 შუბლს ტკბილი სიო უგრძილებს,
 სემაც ჩრდილი მიაფინა!
 მაგრამ ძილშია დაქსიხმრა
 ის ვვითელი მოლადური:
 ხედავს ბუჩქზე შემომჯდარა,
 და უკვანისის სწუჯალს გული!
 მოსთქვამს: „სად ხართ, საეკარელნო,
 ჩემნო მვილნო, ჩემნო კარგნო,
 თვალშავანო, ქარვის ფერნო,
 ვვითელ კაბით მონაქარგნო!
 ნეტა ვიღა გინატრონებთ,
 ვინ ჩავიკრავთ თბილად გულში,

ვინ გაკოცებთ, ვიღალღრსებთ
 და გავსხვევთ სიუფარულში?
 სომ მოგშივებთ, სომ შეგცივებთ,
 ვაი, ჩემს თავს, ვაი, დედას,
 რომ თვის ზაწა ბახსალებსა
 ვერ უვლის და ვერა სედავს!
 ნეტავ ერთი, ვანოს მშობელს
 გამოსწირონ თვისი შვილი,
 რომ ვანომაც გამოსცადოს
 უდელობა და სიმშილი!
 ნეტავ ერთი, ვანოს დედაც
 ჩემებრ დადგეს მკლოვიარედ,
 რომ, ჩემსავით ბედით კრული,
 აქვითინდეს ისიც მწარედ!
 აბა ვანოც მოიტაცონ,
 მოაძირონ თვის მშობელსა,
 ოჸ, მაშინ-კი ინახებდა—
 რისთვის შლიდა ჩემს ბუდესა!“
 უსმენს ვანო მოლაღურსა,
 ძილში მწარედ იტანჯება,
 გრძნობს ის თავის დანაშაულს
 და თავის თავს ეფიცება:
 „არასოდეს ჩიტის ბუდეს
 სამტროდ სელი აღარ ასლოს,
 თვის ტოლებიც დაარაკოს,—
 არ მივიდნენ მასთან ასლოს!“

ი. ევლოშვილი.



მისო და მწვანე კალია.

(დასასრული).



აღაზუდა ჭეპავს საქონელი მისოს. მწვანე ცხრა თვა-
ლა. ღსინია კალია-ჰეჰელებისა; ბუსების ბზუილი
და ფუტკრების ბზუკუნი ურებს უჭედავს გამჟ-
ლეღ-გამომეღელსა.

ჩიტების კივილ-ხივილი ტეე-მინდორს აცოცხლებს. წელიწადის
პირები და ხეე-სუვი საესკა ბაღანით. საქონელი, გამაძლარი
და გაღაღებული, ბედნიერებაშია. მისოსაც აქა ჭეპავს თავისი
ძროხები. ხელს არ აუქნებს, კალიას დასდევს, უნდა თავისს
ინდაურებს საუსმე მოუგროვოს და სასლში წაუღოს.

აგურ დაუჭერიან მწვანე მხედარი კალია და კარაქს აჭმევს,
სურს თავისს ინდოურებს ასთვის გაასუქოს. წბილა ბაღანით
პირში კარაქსა სტენს. მწვანე კალიაც ჭეღაპავს და ჭეღაპავს.

— მიირთვი, ხემო კალია, გასუქდი, — ეუბნება მისო. —
ბოლოს გამოდგები.

ჭამს მწვანე კალიაც. ეელს ესიღება, ლამის დაიხრჩოს.
მერე ტუჩებს ილოკს, უღვაძებს ისწორებს.

— მიირთვი, რა პირს უჭერ, მე ვიცი, მინდორშიც გექნე-
ბა კარაქი.

აი, გაძღა მწვანე მსედარი კალია, დაითრო და მოიხსენა თავი ძირს, მიწისკენ, ჩაქინდრა, თვალები დასუჭა, მსკრამის დასუჭავდა უკილოო თვალებს. უღვაშები დაკეცა, კვერდზედ მოიწეო. მსრები უკან გაიშვირა, ფესები ორნოფესასავით აქეთ-იქით მიიდგა. დაითრო და დაიძინა. სმინავს მსედარ კალიას და ძალიან სიზმრებშია. აკურ მოუტანიათ კარაქი კოდებით, ჩაუწვიათ შიგ დიდი სპილენძის ქაფქირები, იჭერენ საწვალს კალიებსა და სულ ქაფქირით სტენენ ეელში.

ამასაც ძალა დაატანეს და სულ ძალათი ჩასტენეს ჰირში. ისეთი გაუსდა მუცელი, ტომარასავით გაებურა. სულს ძლივს-ღა იქცევს.

ოო, ღმერთო! ეს რა საშინელებაა! აკურ გამოხნდა შავი რაღაცა ფრინველი, თეთრ-სალებიანი. მამკის ტოლად, მაგრამ არც მამკია. მოდის, რა მოდის, მოაჭენებს მწვანე კალიის საკენ! თან ვსავსა წვრილს კალიებსა და ჭრიჭინებს იჭერს და ეელში ჰკვავის. სოკისა ჰირიდგან ფესები და უღვაშები-ღა მოსჩანს. დავეირებასაც-კი ველარ ასწრებენ, ისე უცებ, ჰელანავს. აკურ ახლოვდება. ღმერთო გამჩენო, რამოტოლად! რამოტოლად ნისკარტი აქვს! ერთი რომ ჩასცხოს, კალიის წელი მეტსაც ვერ აიტანს, შუაზედ გაჭკლეჯავს. უნდა გაიქცეს მწვანე მსედარი კალია, ან გაფრინდეს, ან დაიევიროს, მაგრამ საშინლად დაძძიებულად, ველარც-კი ინძრევა ადგილიდგან. ეელიც კარაქით სავსე აქვს, სმან ველარ იღებს, ეელიდგან აღარ ამოსდის. ოჰ, მწეო დამბადებელო, რაღა ჰქნას, სად წავიდეს?!

— ეი, კალიეოკე, მამიავ! — მოესმა უცებ მისოს სმა. — ჯერ ძილი ადრება, ამდამაც გვეოფა მოსვენება. აბა უუურე, რა დღეა, ცხრა თვალი მზე დაგეცქერია, მინდორი ღვთის მადლით სავსეა. სომ სედავ, ეკელა მოძრაობს, ირჯება, სიცოცხლეს ეშურება.

მწვანე მსედარმა თვალები დააჭეიტა, გაიხმორა, შიშით



აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ი შავი მტერი რა იქნაოცნება გაცივო, რომ სისძარბი იყო, ცოტა გულსედ ეფონა, ინსუქ მიღს მისცა თავი. მეტად დამძიმებული ჰქონდა კარბაქისაგან.

— თავი დამხნეპე, მეძინება, შენმა კარბაქმა დამხათრო!

— მაშ, კარგი და როცა გაიღვიძო, ჩემთან უნდა წამო-სვიდე.

— სად?

— სოფელში.

— რათა?

— იქ სჯობიან. აქ ტყესა და მინდორში რა გინდა, მკე-ლი შეგჭამს.

— მე მკელი ვერ შემჭამს.

-- რატომ?

— იმიტომ.

— ჩვენს ცხვრებს-კი შესწამს სოლმე მკელი, კარში რომ დაგვრნება. მეც-კი მეძინიან, როცა ღამე საქონელს დავეძებ; ციცი-ნათელა მკლას თვალები მგონია. კბილები გაწკაწს მიწუობენ.

— მე-კი მწვანე ფოთოლსედ ვ'ხივარ და უძიძრად ძძი-ნავს. როცა გამეღვიძება, სიმღერასაც შემოვძასებ სოლმე.

— არა, კალიაჲ, მანც სოფელში სჯობიან, იქ ბევრი ბაღლებია და კარბაქსაც ბევრს გაჭმევთ.

— იქ ქათამ-ინდორუბიც ბევრია. სოფლის გახროკილ კალო-ბანებსედ რა უნდა ვიზოვნო, თქვენს ქათმებსაც ენატ-რება მწვანე ბაღასი, ჩემთვის რას გაუშვებენ.

— მაშ, არ მოდისარ? — ჰკითხა მისომ.

— არ გახსლები. სელი გამიშვი! ფეხებსედ ნუ მიჭერ, განჭი არ მომტყნო.

მისომ განჭებიდან სელი გაუშვა, მუცელსედ მოსწიდა. კა-ლია როგორღაც უგუნებოდ შეიქმნა. აღბად ძალიან თუ მო-უჭირა მისომ სელი. საწყელს ზირიდან გამდნარი კარბაქი წა-მოუვიდა.

— ნუ გამჭვლიტე, შე უღმერთო, სომ სედავ, ლამის გვერდები დამეტვრეს. მუცელზედ ნუ მანწეები. ეელში ამომედიანა შენი კარაქი.

თან ზირს აცმაცუნებდა, უნდოდა ეკებინა მისოსთვის, რომ როგორმე სელი გაეშვებინა: გასვივით ზირს ალებდა. კისერს აქეთ-იქით იღრეცდა.

— კალიავ, ნუ სსუბობ. სომ არ მინდოდა, უნებურად მოამივიდა. შენ რომ რბილი მუცელი გქონდეს და სინარბით ეულამდე აივსო სასმელ-საჭმელით, რა ჩემი ბრალია.

კალია მანც თავისას არ იშლიდა, კისერს იღრეცდა, გასვივით ეებებს სან გაშლიდა, სან მოჭკუმაყდა. ბოლოს, როგორც იყო, ზირი მოავლო მისოს სელზედა და ერთი მადიანად უკებინა.

მისომ სიმწვავით დაიჭევირა, ვინ იცის, რა ეკონა.

— შენ მაკებინე, კალიავ? რათ მიკებინე? შე შენთვის სიკეთე მინდოდა, შენ სიბავით მისდი?

კალია გაბრაშებით თვალებს აბრიალებდა, იწევდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უნდოდა სელიდან გაქსნლტომოდა. ისე იწევდა, რომ ფესები კინაღამ მისოს დაჭრა სელში.

— ძაშ, არ გინდა ნებით წამოხვიდე? — ჰკითხა მისომ მწვანე კალიას. კალია სძას არ ილებდა, გაბრაშებული იყო...

უცებ მწვანე კალია თავდაუირა რაღაც ბნელეთში ჩაეშვა, მსრების გამლაც-კი ველარ მოასწრო.

ირგვლივ საშინლად ბნელოდა, არსაიდან ნამცეცი შუქი არ ჩამოდიოდა. დახესით-კი არ დახესილა, რბილად რაღაცედაც დაეცა. უნდოდა აქეთ-იქით მიესედ-მოესედა, გაეგო, სად იყო, მაგრამ თვალებს ვერ ასელდა, თავზედ რაღაცა აწვებოდა.

ვინ იცის, ამ მდგომარეობამ რამდენს სანს გასტანა.

ბოლოთ ველარაფერი გაეგო, სად იყო, რას უშვრებოდნენ, ან რა მოელოდა. თავს დაღუპულად სთვლიდა. სსნის იმედი

დაჭკარვა. სასოწარკვეთილებას მიეცა. მოაგონდა კაღვლის თავე-
ნი მწვანე მინდორი, ენითა და ბაღასით სავსე. მანაგონდა
ბუნებისგან ასე უხვად გაძლილი სუფრა სულდგმულთათვის. სი-
ცოცხლე დაენანა, უურო-კი ეს წუთისოფელი არ ეთმობოდა.

არ ეთმობოდა ფოთლიანი ტყეები, წვიმაში რომ კარვად
ჭქონდა. ერთი საფსულის სიცოცხლე ჭქონდა და ისიც ასე
ადრე ესზობოდა. უეებრდა სიცოცხლე, გაუჭირვებლად სცხოვ-
რობდა, არა ენატრობდა-რა. ასე იყო კაი ხანს კალია, მუ-
დამ ქამს სიკვდილის მოძლოდინე.

უცებ შემოდგან საიდგანლაც მუქი ჩამოდგა და ცოცხალი
რალაცა ზურგზედ დაეცა. მძიმე არ იყო, მაგრამ სწუნებდა-კი.
მწვანე კალიამ სული განაბა, გაიტვრინა

ვინ იცის, რა საღირო იქნებოდა, ან შესჭამდა, ან უკებნდა. ში-
შით აღარ იცოდა, რა ექნა. უბედურებას უბედურება დაერთო.

მაგრამ აი, ახლად ჩამოვარდნილი იქითკენ გადაყოფნდა,
ზურგი გაუთავისუფლა, მწვანე მხედარმა კალიამ თავისუფლად
ამოისუნთქა, თუძცა წინანდებურად ისევ ბნელოდა.

მოძრობაზედ ეტეობოდა, რომ ახლად ჩამოვარდნილიც
ძან ფოშიძანში იყო. რალასაც ფაცურობდა. თავის დაღწევას
ცდილობდა.

თან ორივენი ერწეოდნენ, ეტეობოდა, სადღაც მიდიოდა ამა-
თი საპრობილე.

მაგრამ აი, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მიემატა მწვანე მხე-
დარს თანამეზავრი. ეს უკვე დიდი კუტი კალია აღმოჩნდა.
ახლად ჩამოვარდნილმა, შემინებულმა და გულგასეოქილმა, ძალა-
უნებურად მწვანე კალიას ფესზედ უხშიტა.

— ჭე, რას იჩმიტები, ვიღაცა ხარ? არ გეყო, რო ზურ-
გზედ დამაჯექ? — გამოეხმაურა მწვანე კალია.

ზასუსმა გული დაუძმვიდა მწვანე კალიას, რადგან თავი-
ნი სისხლი და სორცი აღმოჩნდა, ღიპიანი ლევა კალია,



განთქმული მკრელი და მკერვალი უპატრონოდ დარჩენილ
 ჩონა-ახალღუსებისა—ნამკლებში.

მესამე მკწიანურე კალია აღმოჩნდა, საკალიეთის გამრ-
 თობი, მუქთად დამკვრელი სიცხე-ზაზანაქებაში.

სამიყენი ერთმანეთს გამოქსმაურენ, საღამი მისცეს და
 ბოლოს თავის მდგომარეობასუდ შეუდგათ სჯაბასანი.

ახლად მოსულებისგან გაიგო მწვანე მსედარს კალიამ,
 რომ სამიყენი ტყვედ იხსდენ მისოს ჯიბეში, რომ ხსნა არსა-
 იდგან იყო, და სად მიჰქავდა ეს სამიყე მსუქანი კალია მი-
 ხოს, ვერ გაეგოთ.

აღბად ზოფელში კარაქის ან შაქრის საწუწნავად!

— რაღაც ინდოურებს ახსენებდა, რომ დაგვიჭირა, — სთქვა
 ღიზიანმა.

— ძალიან მსუქანი ხარ, შენ სულ სხვისა ოფლით ხარ
 გასუქებულიო. ჩვენს ენებს შენა სჭამ და ახლა მე შენ ჩემს
 ინდოურებს შეგატყვეო. როგორ იამებათო! იძახდა. თან ჯი-
 ბეში მსვამდა. მინდოდა დავპრომოდო სელიდგან, გავიწიე, მაგ-
 რამ კანჭი მოვიტყეს და ბედს დავეპორჩილე, — სთქვა ამოოსუ-
 რით თეთრმა კალიამ.

ინდოურების ხსენებასუდ მწვანე მსედარს ფერი ეცვალა, ტანი
 აეჭინჭრა.

— ცუდად არის ჩვენი საქმე, ამხანაგებო! — დაიწყო მწვანე
 კალიამ. — ჩვენი ბუდი წინდაწინვე გარდაწვევტილია. ჩვენ აღარა-
 ვინ მოგვისმენს, არც სამართალს მოგვცემს. აბა, ინდოური
 კალიას რა სამართალს მისცემს იმის მეტს, რომ ნისკარტს
 ჩასცხებს და მუცელში ჩაუძახებს. იუვირე, რამდენიც გინდა,
 მუცლიდგან ველარავის გაავონებ შენს გაჭირვებას. ასეთია ქვეუ-
 ნის სამართალი. სადაც ძალა მივა, სამართალი ბანიდგან გაი-
 ჰარება. აბა, ამხანაგებო! თავს მოვუაროთ, მოვიფიქროთ რამე,
 როგორ ვუშველოთ ჩვენს გაჭირვებასა. იფიქრეთ უველამ. იქ-

ნება ღმერთმა რა ფიქრი მოგცეს, რომ გამოგვადგეს, ჩვენც
სხსნა ჩვენს სელთ არის, სხვისა იმედი ნუ გექნებათ. აბა, ვა-
ფიქროთ!

და დაიწვეს ვეველამ ფიქრი, თუძცა მისოს ჯიბე აქეთ-იქით
ექანებოდა, კალიებს ერთმანეთს ასეთქებდა და ფიქრს უძლიდა.

ფიქრობდა მწვანე კალიაც. თავი ძირს დაეხარა, თვალები
დაეღულა, ფიქრობდა და შუბლიდგან მწვანე ოფლი ჩამოს-
დიოდა. ფიქრობდა და ვერ მოეფიქრებინა, როგორ დაესწია
ტყვეობისთვის თავი.

—იცით, ძმებო, რა მოვიგონე,—დაიწო მეჭინანურემ.— აი
ეს გაბერილი თერძი კაი მჭრელია. ერთსელ ჩვენა და ძაგან
ერთი მოძკლის ახალუსი სულ ჩაკეძსეთ. ეს ჩვენი საპრობილუც
რბილი ჩითისაა. დავადგეთ და დავჭრათ, მერე, სადაც გაგპერე-
ბით, ეგ იქ ვიკითხოთ.

ეს ახრი ვეველამ მოიწონა. თუძცა მწვანე მსედარს, ცოტა
არ იუოს, შეჭმურდა, რატომ მე არ მომაგონდაო, ძაგრამ, რაკი
საერთოდ გამოსადგევი თათბირი იუო, არად მიიხნია ეს შური
და სიამოვნებით გამოუცხადა თანხმობა.

—აბა, ღმერთი და ბედი! დაიწვეთ, ბიჭებო! ერთი ჰირი
ვისაც ექნება, მუდამ გაიმარჯვებს.

რას მოიფიქრებდა ჩვენი უაირათიანი მისო, თუ ინდაურე-
ბისთვის გამსადგებელი კალიები იმის ჯიბეს აფსავებდნენ და
აცსავებდნენ!

ზირველად რომ შუქი დაინახეს, ისეთი სისარული შეუდგათ,
რომ მეჭინანურემ ჭინანურიც-კი ჩაარაკრაკა.

—ძან მსიარულად არიან ეს ეხანჭრიები!—სთქვა მისომ.
—ენასოთ ასლა, ინდაურები როგორ განსარებენ!

ძაგრამ, შენს მტერს, ნურა კარგი! ვუჯრუტანა უკვე იმო-
დენა იუო, რომ მეჭინანურე თავისუფლად გაძვრებოდა, ძაგრამ
ამხანაგების თავის დანებება და ძარტოკა თავისი გათავისუფ-

ლებს ფიქრადაც-ვი სასიხლრად ვსვენა.—ერთობა, ერთობა უნდა იყოს, სხვაც ჩემი ამხანაგები, მეც იქ,—ფიქრობდა თბვისთვის,

—აბა, ერთი მომეცალოთ, ერთი ჩემებურად დავაწყვანო. მაკრატელი!—სთქვა ღიზიანმა თერმმა. სუნემით სინათლესთან მივიდა და ჩასწიდა თავისი კალესილი ებები ჯიბის ნახვრეტს. ჩითის ნაფსრეწებს აქეთ-იქით ისროდა, ჯიბეს ფსრაწა-ფსრუწი გაუდიოდა.

ცოტა ხნის შემდეგ სამიუენი გამოჭმულ ჯიბის ნახვრეტთან იღვნენ გადასასტომად გამხედებულნი.

როცა მისომ ბალახიან გორაკს მიატანა, საიდგანაც აუბრებელი კალიებისა და წრიჭინების წრიილი ისმოდა, „გაუმარჯოს თავისუფლებასო!“, — დაიუიერეს, და სამიუემ ერთად ბალახებში ამოჭევეს თავი. ღიზიანმა ვირაწლად გადახარა, რადგან კანჭი ჭქონდა მოტესილი, მაგრამ მკებისა და მკობრების ევირილმა სულ დაავიწევეს ტკივილიც და წვცა. კაიხანს ისმოდა ჟრიაბული კალიებისა, რომლებიც „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოსო!“ ევიროდნენ და სისარულით სტოდნენ და წეკვადნენ!

თ. ჩაზიკაშვილი.





მამაცი მარო.

(თარგმანი).



აღიან მამაცია ჩვენი მარო. ქვეყანასე არაფურისა არ ეშინიან. უველგან მარტო დღიარება; შიში რა არის, არც-კი იცის. — „ბეურ ბავშვის თაგვისა ეშინიან; დაინახავენ თუ არა, გარბიან უვირილით. შე-კი, მართალი რომ გითხრათ, მიუვარს კიდეცა თაგვისის წრი-ზინი. ან აი, ჩემ მძას, როგორ არა რცხვენიან, საშინლად ეშინიან ინდოურისა. შე არც ინდოურისა შეშინიან“.

ასე ტრახახობდა ჩვენი მარო.

ერთხელ გვიან მოუსდა მინდორში გასეირნება. დედოფალა სელში ეწირა. უცებ წინ ბრახიანი ბატები შეეფეთნენ. გაჭქრა სადღაც მაროს სიძამაცე. მორთო უვირილი, ტირილი: „მიშველეთ, გადამარწინეთ! ბატები დამესიფნენ, ჩქარა!“

— რა მოგივიდა, მარო? რისი შეგეშინდა? — დასცინა მძამ. „შენ სომ შენს დღეში არაფურისა არ გეშინოდა.“

— შე-კი არა... დედოფალას ეშინიან ბატებისა!“



მამიშინები.

(გავრძელება).



ადავიდეთ ასლა მესამე ჯიშის მამიშინზე—
 ორანგ-უტანგზე. ორანგ-უტანგი ნიშნავს
 ტუის კაცს. ორანგი შიმშანსეზე უფრო
 მასინჯია. ქვემო ება წინ აქვს წამოწე-
 ული. გძელი ეძეები, წაგძელებული ტუ-
 ხები, საჭელეტილი ცხვირი. ორანგი
 ცხოვრობს გაუვალ ტყეებში, სადაც ბევრი
 ცხელი ქვევნის ხესილები სარობენ და
 საჭძელი ბევრი იშოვება. ბინას იკეთებს ხეებზე. დაამტვრევს
 ტოტებს, დააწეობს წეობისად, შემოდან ფოთლებს დაჭურის
 და ადამიანივით დაწეება. ველური სალხის
 ახრით ორანგებს ღაზარაკი შეუძლიანთ, მაგ-
 რამ განგებ არ ღაზარაკობენ, რომ ადამიან-
 მა არ გაუგოს და მუშაობა არ დააწეებინოს.
 ორანგებს ძალიან უეგართ ზატარა მამიშინები.
 გემით მოჭევადათ ცხელი ქვევნებიდან ვეროზაში
 რამდენიმე ტყვე მამიშინი. ერთი ზატარა მამიშინი ნამეტანი ეშმაკი
 იყო; ხან წეალში გადაურედა ნივთებს, ხან ფრინველებს გაუღებ-
 და გალიის კარებს და გაუშვებდა. ეოველ დღე სცემდნენ, მარა



ორანგ-უტანგის თავი.

მაინც თავისას არ იძლიდა. ორანგს შეეცოდა და გამოქსნარ-
 ხლა. როცა ვინმე ცემს დაუწყებდა ჰატარას, სჯდ-^{ორანგი}
 გადაეუარებოდა თავის ტანით. მერმე გულზე მიიკრავდა, კე-
 მის ანძმესე აიუვანდა და იქ დასვამდა. საღამოს ჩამოიუვანდა
 და საწოლში წაიუვანდა. ამ ორანგს თავის საწოლში მიჰქონ-
 და ვეველაფერი, რასაც-კი წახსელებდა: მატროსების ტანისამო-
 სი, ჰირსასოცი, საპონი. რაც დაიკარგებოდა, ორანგის ლო-
 გინში ემებდნენ. საღამოს, დწოლის დროს, ორანგი გაბურ-
 ტევადა თავის ქვედაკებს და გაასწორებდა ხელით. გაქსვევოდა
 საბანში, ისე რომ მარტოვა ცხვირი-ღა უჩანდა. დილა ადრია-
 ნად ადგებოდა, დაიბანდა ჰირს, შეიმძრალებდა ჰირსასოციო,
 მერე ამოავლებდა წეაღში გასწურავდა და კანაძრობად გაუენ-
 და. ამავე გამზე იყო ორი კატის კნუტი. შეუუვარდა ორანგს
 ეს კნუტები. აიუვანდა ხელში, მიეაღერსებოდა, ამოიდებდა
 იღლიაში კატებს და დადიოდა გამზე. კნუტები კნაოდნენ, იკბი-
 ნებოდნენ, ფსაწნიდნენ, მაგრამ მაიმენი ითმენდა ვეველა უსია-
 მოუნობას. ბოლოს კლანჭების დამრობა მოუნდომა, მაგრამ
 ვერ მოახერხა. ეს ორანგი ძალიან ცბიერი იყო. შეიპარებო-
 და გამის საძწარეულოში, როცა იქ არავინ იყო, მოხდიდა
 ჭურჭელს თავს, ამოიდებდა მუჭით ფქვილს და შესწამდა; რომ
 არავის გაეგო ქურდობა, ფქვილიან ხელს თავზე წაიხსამდა,
 ასე რომ ხელ გაითხუზნებოდა. ორ საათზე შემოდოდა სადი-
 ლისთვის. სადილზე ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი. წვეს
 ისე დახურეტდა, რომ წვეთს არ დაღვრიდა. ძალიან უუვარდა
 ღვინო. სადილზე აძღვევდნენ თითო ჭიქას. წამოსწევდა წინ
 ქვემო ბაკს, წაიხსამდა მიგ ღვინოს და ხელ-ხელა სტკებო-
 და. როცა გაათავებდა. კიდევ თხოულობდა. ამ მაიმენს გამზე
 ჰუავდა მიწენილი ცაღკე დარაჯი. ორანგი დაუძეკობრდა მას.
 ესვეოდა, ეღვრსებოდა და მარტო მისვან იღებდა საჭმელს.
 ერთხელ ორანგმა დაინახა თავის საწოლიდან, რომ მოსამსა-

სურე აღბაკებდა არაერთ სავსე ბოთლებს განჯინაში, რამდენიმე ბოთლი-კი დავიწყებოდა და დარჩენოდა კუთხეში.

ღამე ჰატრონმა გაიგონა ოთახში რაღაც სმაურობა. გახვდა, ვიღაც ბოთლებს დასტრიალებს. ჩააცქერდა, ორანგი გამოდგა. მაიმუნს ხელში ეკაზა ნახევრად დაცლილი ბოთლი. იატაკზე ექარა ცარიელი ბოთლები. მაიმუნს მოხერხებულად ამოელო საცობი და დაეცალა ბოთლები. ათი წამის შემდეგ არაუმა იმოქმედა. ორანგი საშინლად გამსიარულდა: დარბოდა სკამებსზე და სტოლებზე, ეირაძალა გადადიოდა იატაკზე, გორბოდა. თანდათან მეტს სიგიჟეს იჩენდა. ვერას გზით ვერ დაამაგრეს... ასე გაგრძელდა 15 წუთი. მერე მოიქანცა და წაიქცა. ზირიდან დობლი სდიოდა. ეგდო გაუნძრევლად და უგრძნობლად. რამდენიმე საათის შემდეგ გრძნობასზე მოვიდა. დაეძარბა საოფლე და დიდი წვალეების შემდეგ მოკვდა. ავადმოყოფობის დროს სვაძდა მარტო წვალ-ღვინოს და წამალს. ერთხელ ძავა გაუსინჯეს. ამას შემდეგ, როცა ვინმე ლოკინთან მივიდოდა, სულ ეველას ხელს უშუერდ. ისეთი ადამიანური გამოძევევლები ჰქონდა, რომ ჰატრონმა ცრემლები ვერ შეიმავრა. ღონე თან და თან უსუსტდებოდა და ორი კვირის შემდეგ მოკვდა.

მაიმუნებს სასოვადოდ ეველა ცხოველებზე მეტად შეუძლიანთ ადამიანს წაბაძინ და გააჯავრონ. ორანგსაც დიდი მიძაძაობითი ნიჭი აქვს. სასაცილოა, როდესაც ორანგი ადამიანს აჯავრებს. ერთს ჰასტორს (გერმანელთა მღვდელი) ჰქავდა ორანგ-უტანგი. ეს მაიმუნი ისე შეეწვია ჰატრონს, რომ ერთ ნაბიჯზე არ შორდებოდა. როცა ჰასტორი კვირობით სავადრში მიდიოდა, ორანგს ოთახში ჰქეეტავდა. ერთხელ ორანგმა როგორღაც იუძმაკა და კარები გააღო. გაიქცა ეკვლესინაში. ჰასტორის საძებნელათ. ჰასტორი ამ დროს უქადაგებდა მრევლს და ისე იყო გატაცებული თავის ქადაგებით, რომ მაიმუნის შემოსვლა ვერ შეამჩნია. მაიმუნი სუძად დადგა ჰასტორის

უკან და იმეორებდა ვეჟლა მის მოძრაობას. მღვდელი ქადაგებს გატაცებით, ხალხი-კი იცინის.—რა ამბავია, — თქვამს მღვდელი, ხალხი უოველთვის მისმენდა, დღეს რა ღმერთი გაუწურათ?!—შენერდა... ცოტა გაჩუქდა. სელახლა დაიწყო. მაიმუნმაც სელახლა დაიწყო ჰრანგვა-გრესა: რაც გატაცებით ლაპარაკობს ჰასტორი, იმდენად ცოცხლად აჯავრებს მაიმუნი. ხალხი-კი სიცილით ისიცება. ბოლოს, ვიღაცამ აჩვენა მღვდელს მაიმუნსე. მოტრიალდი ჰასტორი და თვითონაც გაეცინა. უნდობათ ორანგის კარში გაუვანა, მაგრამ ძალაზე დადგა. ეტეობა, ძალიან მოეწონა მღვდლის ქადაგება. ორმა დარაჯმა ძლივს გაათრიეს კარში.

ირაკლი სურგულაძე.

(დასასრული იქნება).





ორესტის ამბავი.

(გავრძელება).



ანხდნენ თუ არა ვეშენიდეები მიკენაში, შე-
შინებული ორესტი გაიქცა. ვეშენიდეები მა-
ინც არ ეშუებოდნენ და უკან მისდევდნენ.
ორესტის მეგობარი ჰილადე და ჭ ელეკტრა
არ შეუშინდნენ შურის მძიებელ ქალ-ღმერ-
თების რისხვას და უბედური ორესტი არ
მატოვებს, თან გაჭევენ. დევნილი ორეს-

ტი ბოლოს ქალაქ ათინაში მოვიდა და თავი შეაფარა ქალ-
ღმერთ ათინას ტაძარს. ათინამ არ შეუშვა ვეშენიდეები თავის
ტაძარში ორესტის სწავლებლად; ახოლონიც მიეშველა ათი-
ნას და დაითანსმეს ვეშენიდეები, რომ ორესტი გაესამართლე-
ბინა ქალაქ ათინის უმაღლესს სასამართლოს, რომელსაც არე-
ოპავს ეძახდნენ.

არეოპავში თორმეტი მოსამართლე იყო; წინ ქილა ედგათ;
სელში თითოეულ მოსამართლეს ორი კენჭი ჰქონდა — თეთრი
და შავი; რომელ მოსამართლესაც დამნაშავედ მიანდა ორეს-
ტი, შავი კენჭი ჩააგდო ქილაში, და ვისაც ორესტის მოქმე-
დება სამართლიანად მიანდა, თეთრი კენჭი. ექვსმა მოსამარ-

თლემ გაამართლა ორესტი—ღმერთის ბრძანებას დაემორჩი-
 ლა და მამის მკვლელებს სამაგიერო გადაუსადაო; ექვსი მო-
 სამართლე-კი ამტყუნებდა ზემემონის შუცლს—ღმერთების
 მორჩილება კარგია, მაგრამ კლიტემესტრა მაინც დედა იყო
 და შვილს არ უნდა მოეკლათ. მაგრამ როცა ქილა მოაპირ-
 ქვავეს, შვიდი თეთრი კენჭი გამოვარდა: ანოლონმა და ათი-
 ნამ სასწაული მოახდინეს—ექვსი თეთრი კენჭი შვიდად აქ-
 ციეს. ასე განთავისუფლდა სასჯელისაგან ორესტი და ვემენი-
 დებიც ველარ აწამებდნენ მას. ორესტი მაინც შეწუსებული
 იყო და ცოდვის მოსახანიებლად ბუერი ადგილი მოიარა და
 ბუერი განსაცდელი ნახა.

(გაკრძელება იქნება).






ბავშვის დამწვარი ძაფზედ ჩამოკიდება.

წებალი გასხენით ბლომად სწეული მარ.ილი; შიგ რამ-
 დენიშე დლით სხვილი ძაფი ჩადეთ. მერე ეს ძაფი ვაბშრეთ.
 ამ ძაფზე სუბუქი ბეჭედი ჩამოკვიდეთ. ძაფს რომ ცეცხლი მი-
 უკიდოთ, ბეჭედი არ ჩამოვარდება, თუძცა ძაფი-კი დაიწვის.



1.



2.

ეს ოთხ-კუთსი ქაღალდი ისე
 გასწვრიეთ, რომ, როდესაც
 გაჭრილს ქაღალდებს ერთ-
 მანეთზე მიადებთ,

შემდეგი ოთხ-კუთსი გა-
 მოვიდეს.



ქაღალდი სამჯერ ისე გასიეთ, რომ რკად

გ ა მ ო ც ა ნ ა .

ღობეში სელი გაგუბვი,
 ბომბორა ძაღლმა მიკბინა.

შ ა რ ა ლ ა .

ჰირველი არის თავის ნაწილი,
 შემდეგი მხოლოდ ასოს სახელი;
 მაშინ იქნება-კი ფესსაცმელი,
 რომ შეუერთო შემდეგს ჰირველი.

ახსნა

მე-9 ნომერში მოთავსებულ უჯრების ამოცანებისა:

1

	რ		უ	
რ	ქ	ი	ნ	ა
	ი	ა	ა	
უ	ნ	ა	ბ	ი
	ა		ი	

2

		ბ		
	ქ	უ	ა	
ბ	უ	რ	თ	ი
	ა	თ	ი	
		ი		

3

რ	ქ	ლ
ქ	ა	ნ
ლ	ნ	ი


4

		წ		
	ჰ	ი	ა	
წ	ი	ბ	ნ	ი
	ა	ნ	ი	
		ი		

ძარღის ახსნა: სკა + მი = სკამი.

გამოცანების ახსნა: 1. ჯარა, 2. დოქი, 3. კრუსი და კურსები.

263 20
20 190933



22

